

რედაქცია: ს.ლოლაძე, ბლის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. მარჯვ მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 ან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

უკველ დღე ორშაბათს გარდა

უასი განცხადებისა: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასოთა მთლიანობით სტრიქონზე—8 კაპ., ცენტრის რედაქციაში ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

მთელი წლის ში მიიღება რედაქციაში, ბლის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Дროება“.

გაზეთის ღირსი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მქვის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი მაისიდან წლის დამდეგამდე 6 (მეხუთი) მან.

შული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## საქართველო

დღიური

\* \* \* დღეს, 4 მაისს, იყო უკანასკნელი სხდომა მთელი წლის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებისა; იყო ამორჩევა გუბერნიის მარშლისა, ამორჩიეს პოლკოვნიკი თ. დავით სუმბათოვი, რომელსაც ამოუვიდა 82 თეთრი კენჭი და 14 შავი. იმის ამორჩევის შემდეგ მთელი წლის უფლის მარშლად დარჩა უფ. ლუარსაბ (შაქრა) მაღალაშვილი. გუბერნიის მარშლის კანდიდატათ ამორჩიეს თ. რევაზ მახვარაძე.

ამის შემდეგ გუბერნიის კრების სხდომა დაიხურა.

ხვალ, დილის 10 საათზე, ბანკის ხალაში იქნება კრება მთელი წლის საადგილ-მამულა ბანკის დამფუძნებელთა.

\* \* \* დღეს, პარასკევს, მთელი წლის ოლქის სასამართლოში განიხილეს საქმე „დროების“ რედაქტორის უფ. სერგეი მესხისა, რომელსაც ცენზურის კომიტეტის ჩივილით ბრალდებოდა ის დანაშაული, რომ ცენზურისაგან წაშლილი

ადგილები დაბეჭდა შარშანდელის წლის „დროების“ მე-126 ნომერში.

საქმის გარჩევის შემდეგ სასამართლომ გარდაუწყვიტა „დროების“ რედაქტორს ამ დანაშაულისათვის ათი მანეთი ჯარიმა და ან, თუ ამას ვერ შესძლებს, ორი დღით დატუსაღება...

\* \* \* ჩვენ გვთხოვერ გამოვაცხადოთ, რომ ქართულის გალობის აღდგენისათვის დანიშნულს კომიტეტს სხვა-დასხვა კერძო-პირებისაგან, ამ საგნის შესაწვეწველად, მიუღიათ შეწირული ფული სულ 655 მან. შემწირველების სიას ამ მოკლე დროში დავეჭვადოთ.

\* \* \* შეირილიდამ გეწერენ, რომ იქაურ ნორმალური შკოლის ზედამხედველის უფ. მ. იოსელიანის საქმე, შესახებ გასათხოვარი ქალის გაუპატიურებისა, გათავდა და გამომეძიებელმა შუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორს წარუდგინა.

\* \* \* ბასულ ნომერში დაგვეიწყა მოგვეხსენებინა, რომ ქალაქის რჩევამ მიიღო წინადადება მოსკოვის ინჟინერებისა—ზამიატინის, პაპოვისა და შპანსკის შესახებ ქალაქში წყლის გაყვანისა და ქალაქის პლანის აღებისა და რომ ხსენებული ინჟინერები წყლის გაყვანის პროექტისათვის თხოულობენ 3,500 მანეთსა და ქალაქის პლანის გაკეთებისათვის 12,500 მანეთს. სულ ქალაქს ამ ორივე საგნისათვის 16,000 მანეთი აქვს დანიშნული.

### შუთაისის ბანკის კრება

(გაგრძელება)

საზოგადო საჭიროებისათვის ბანკში ყოფილა ორმოც-და-თოთხმეტი ათასი მანეთი.

თავმჯდომარე ამ ფულს, რომელიც გადადებული არის საზოგადო საჭიროებისათვის, უნდა მიესცეთ შესაფერი დანიშნულება. ზედამხედველს კომიტეტსა შემოაქვს აზრი, რომ ამ ფულგებრდან 5,000 მანეთი შეეწიროს წერაკითხვის და პირველ დაწყებითი სწავლის გამაერცელებელ ქართველთ ხალხში საზოგადოებას, 1,000 მან. ქალების გიმნაზიას შუთაისისა და 1,000 მან. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას შუთაისში; მოსამზადებელი შკოლის გასამართავათ 8,000 მან.—

მქესი ათასი ყოველ-წლიური ხარჯი იქნება ამ შკოლისა და 2,000 მანეთი პირველ გაწყობისათვის. შარშანდელმა ბანკის კრებამ მოგვანდო კომისია მოგვეწვია შკოლის პროექტის შესადგენათ. კომისია მოვიწვიეთ. პროექტი შეადგინა ამ კომისიამ და აქ არის. (მოკლეთ მოჰხსენდა საზოგადოებას პროექტის ჰაზრი). გარდა ამისა ზედამხედველი კომიტეტი ჰფიქრობს დანიშნოს 1,000 მანეთი ერთ-ღროით შესაწვეწველათ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთათვის. ამას გარდა კიდევ ზედამხედველი კომიტეტი ჰფიქრობს, რომ ურიგო არ იქნება განსვენებული ბეს. ლობაერიძის სახეზე ერთი სტიპენდია დაწესდეს უმაღლეს სასწავლებელში და მისს მოხუცებულს მამას პატივცემული კრებისაგან ჩვენის ბანკის წევრთა გაეგზავნოს სამძიმრის წიგნი. თავმჯდომარემ მოიყვანა თითოეულის ამ ხარჯთაგანის საჭიროება და საფუძვლიანობა: გამოუხატა კრებას მოკლე სიტყვით დიდი მნიშვნულება წერაკითხვის და პირველ-დაწყებითი სწავლის გამაერცელებელი საზოგადოებისა ქართველი ხალხისათვის.

ამ სხდომაზე თავმჯდომარემ წაიკითხა დ. ივ. შიფიანის წერილი, რომლითაც ის ჰსთხოვდა ბანკის წევრებს ზევით ნახსენებ საზოგადოებისათვის შემწეობას, ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების კეთილი მიზანი, ქალბის გიმნაზიის უსაშველოობა და სხვ.

პეტ. ბ. ნაკაშიძემ, ზედამხედველი კომიტეტის წევრმა, შეიტანა წინადადება, რომ შაგირდების ბინა გაეაწყოთ შუთაისშიო რამდენსამე ალაკასო; ეს დიდი დახმარება იქნება ბოეშეებისო, რადგან ბევრი მათგანი ახლა სიღარიბისაგან იძულებულია ცხვრობდეს მათი ჩივილი ავებულობისათვის მავნებელ სადგომებშიო. მომავალი ბედი და უბედობა ქვეყნისა შეილების აღზრდაზეა დამოკიდებული და იმედი მაქვს, პატივცემულნო წევრნო, არ დაიშურებთ ამისთანა კეთილი საქმისათვის დახმარებასო.

შარშანდელმა კრებამ უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეთა ერთ ღროით შესაწვეწველათ ნება მიჰსცა ზედამხედველ კომიტეტს ათასი მანეთი დაეხარჯა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთები იმათგანი, ვისთვისაც გაუგზავნიათ შემწეობა, გლეხის შეილები ყოფილან. მერ წარმოიდგენს კაცი, რა ნაირათ გააბრაზა ბანკის დამფუძნებელნი თავად-აზნაურები ერთის მხრით ამ ამბავმა და მეორის მხრით იმან, რომ ზედამხედველ კომიტეტმა მისცა მათ წინადადება ზევით ნახსენებ

ხარჯებისა! ატყდა ერთი ხრიალი, ერთი ვაი-უშვილებელი!

„— ბატონებო, რას ჰბძანებთ! ღალუპულა ბანკი, თუ ასე ვარიკეთ ფულეზიო“, ამბობენ ზოგნი.

„— ჩვენ რომ ფულები დავნიშნეთ შარშან უმალღეს სასწავლებლებში მოსწავლეთათვის, ის გლეხების შეილებს დაურვიკეთ! მს რასა ჰგავს?

„— ბანკი ჩვენი დაფუძნებულია, ჩვენი საკუთრებაა და ჩვენს შეილებს უნდა მოჰხმარდეს მისი სარგებელი!“ ამბობენ სხვანი.

ბევრია ლაპარაკის მსურველი. ერთი მეორეს ეჩრებებოდა სიტყვაში და სიტყვას აწყვეტინებენ. შესანიშნავია ყველაში ერთი ცოცხლათ მოლაპარაკე, ისე რომ ერთს სიტყვაზეც არ შეუჩერდება ენა, უ. მ. ბ. ღარახველიძე, რომელიც, თუმც თავის ალაგზე ზის მუდამ, მაგრამ ხშირათ წამოჰხტება ხოლმე და იტყვის: „უფ. პრედსედატელო! მე მოგახსენებთ საზოგადოების ჰაზრს, მე მომანდო საზოგადოებამ მოგახსენოთ. (თავმჯდომარე სიტყვა აძლევს). ბანკი თავად-აზნაურობის დაფუძნებულია. თუ რამე შემოსავალი აქვს ბანკს, ის უნდა მოჰხმარდეს პირველათ თავად-აზნაურებს, მის შეილებს და შემდეგ, თუ შეძლება გვექნება მეტი, მაშინ სხვასაც შევეწიოთ.“

ამაზედ სხვები, ზოგიერთები, უბასუხებენ, რომ კაცობრიული გრძობა და ის გარემოება, რომ ყოველი ღარიბი კაცის შეილი ჩვენის ქვეყნის შეილია, ჩვენის ქვეყნის მომავალი იმედია, ვალს გვადებს ყველასთვის ვიზრუნოთ განურჩევლად წოდებისა. რამდენი ნიჭიერი ყმაწვილი გამოჰხსნდება ხოლმე გლეხობაშია, რომელთაც თუ კა სწავლა და განათლება მიიღეს, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ქვეყნისათვის! (მა სიტყვები უმეტესობას აღელოებს და გაცხარებულ ყვირილს შეჰქნის: „არა, არა!... არ შეიძლება, არ შეიძლება!... ზღვებს ვერ ამოვიჯენ გვერდში!“)

ქაი ხანს ჰკრძელებდა მღელვარება. ბოლოს პირველი წყებიდან კრებაში წამოდგება თავ. ბან. შალავა, ერთს მიიხედავს უკან, გადაჰხედავს კრებას, ხელით ანიშნებს და ხმა-მალლა ლაპარაკი სწყულება. მერმე მიიწევს თავმჯდომარესთან. თავმჯდომარე ზარას გაარაჟყუნებს და კიდევ მეტი სიჩუმე ჩამოვარდება.

თ. ბახვა შალავა. შემშარბითა, ღარიბები უნდა გაიზარდონ, ღარიბებს უნდა დახმარება და არა მდიდრებს: მდიდრებს მაინცა აქვსთ შეძლება, რომ გაჰზარდონ თავის შეილები. მაგრამ ჯერ მოვიცადოთ და, როცა ბევრი გვექნება ფული, მაშინ სხვებსაც შევეწიოთ.

უფ. მ. ღარახველიძე წამოჰხტება თავადის შალავას შემდეგ და გამოჰხსტქვამს, წინეთ რასაც ამბობდა: ახლა არ შეიძლება რასმეზე დავხარჯოთ ბანკის სარგებელიო. მოვიცადოთ, დიდი სუმი შევადგინოთ და შემდეგ შეგვეძლება რამე საფუძელიანი, შესანიშნავი გავაკეთოთო. პირ-და-პირი დანიშნულება ამ ფულებსა ბანკის დამაფუძნებელი

აზნაურობის საქიროების დაკმაყოფილება არისო; სხვას ვერაფერს მოვხმართ, ჩვენთვის არის საქიროო, ჩვენი საქიროება არ დავგიკმაყოფილებია ჯერო.

ამის წინააღმდეგათ იყო წარმოთქმული, რომ ამნაირი მოქცევა შეუფერებელიო. შკოლის გახსნა, სწავლის გავრცელება, ღარიბთა საზოგადოების დახმარება, ქალების გიმნაზიის დახმარება და სხვ. ისეთ მიუცილებელ საქიროებას შეადგენს ახლა ჩვენთვისო, რომ ურიგობა იქნებოდა მათი უყურადღებოთ დაგდებოა.

მარ. მრისთავი. უფ. ღარახველიძის სიტყვა აი რასა ჰგავს: მსტქვით მოვიდა თქვენთან მშვიერი კაცი, ჭადის ჭყევასა გთხოვთ, და თქვენ ჭადი გაქვსთ, შეგიძლიანთ მისცეთ, მაგრამ ეუბნებით რომ დღეს-ხვალ მოიცადოს, ნურას ჰაჰამს, და ზეგ პიროვნებს აჰმევეთ!.. საზოგადოება არ ჰთანხმდება ამოიტეტისაგან ნაჩვენებ ხარჯებზე.

— ძალებს რათ უნდა სწავლა? ერთი იძახის.

„— ტყვილ-უბრალოა ქალების სწავლა. შრომას აღარ ჰკადრებოდა, შეილებს ვეღარ ჰხდიან, ოჯახობა არ იციან და რა გამოვიდა მათი სწავლისაგან!“ ამბობს მეორე.

იქნეულის თვალით შეჰხედეს სწავლის გამაფრცველებელ და ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებებს და უმალღეს სასწავლებლებში მოსწავლეთა დახმარებასაც; იქნება ჩვენი ფულები მაგნაირათ გლეხების შეილებსაც მოჰხმარდესო და არა მარტო აზნაურებისაო, ამბობდა ბევრი.

ბ. წერეთელი. ბატონებო! თავ. შალავას ჰაზრი საფუძელიანია. შეტყვივით საბნევი ფულები არა გვაქვს, რომ ქვეყანა ჩვენი ფულებით დავფაროთ. საქიროა ეს ფულები გადავდეთ იმ ნაირათ, რომ ყოველ-წლიური სარგებლობა მოგვეცეს, მაგალითათ შეიძლება გირაოს ფურცლები ვიყიდოთ ამ ფულებით. მაგრამ ახლა საქირო კია ის, რომ ცოტა მოვაკლოთ და მოვხმაროთ საყოველთაო სასარგებლო საქმეს, პატარას რასმე, რომლის გადიდება შეგვეძლება შემდეგ, როცა უმეტესი საშუალება გვექნება. ახლა უნდა გავხსნათ ერთი შკოლა. მს მიუცილებელი საქიროებაა. მს შკოლა მოამზადებს ჩვენს ყმაწვილებს და, რადგან ახლა მოუშვადებელ ყმაწვილებს არ ღებულობენ სახელმწიფო სასწავლებლებში, დიდათ სასარგებლო იქნება.

იყო კრებაში მცირედი ნაწილი უფრო მეტის მოსაზრებით მჭკრეტელი საქმისა. ამ ნაწილმა მოინდომა სხვების დაჯერება, რომ ზევით ნახსენები საზოგადოებანი სასარგებლონი არიან ჩვენთვის, რომ ქალსაც უნდა მიეცეს სწავლა-განათლება და გლეხის შეილებს დახმარება და სხვ.; მაგრამ ყველაფერი ამოიყო. ამ მცირედი ნაწილის ჰაზრი, რაკი გაიგეს ერთხელვე, მერმე ლაპარაკი აღარავის დააცალეს ამ ნაწილისას. მოინდომებდა თუ არა ვინმე ლაპარაკს, მაშინვე დიდი უმეტესობა ყვირილს იწ-

ყებდა: „არ გვინდა! არ გვინდა! მაგზე ლაპარაკი! ჩვენც ჰკუთვნება ჩვენც გონება გვაქვს და ვიცოდით, როგორც აჯობებს. თქვენი ჯინსტინს არ გვინდა, რასაც თქვენ გვიჩვენებთ!“ ამისთანა სიტყვებს ხშირათ გაიგონებდა კაცი ამ ჩვენს ბანკის კრებაში. შკოლის გახსნის წინააღმდეგობა ბევრათ უფრო ცოტამ გამოიჩინა.

ა. ჰაჭინაძე  
(ზაგრძელება იქნება)

„დროშის“ კორესპონდენცია

ფოთი, 2 მაისს. მოვიდა აპრილის 30-ს პოეზდი, მაგრამ რა მოვიდა: ათი ვაგონის მაგიერათ ოცი ვაგონი სამასის პასაჟირით; ვაგონებში რომალაგი აღარ იყო ვაგონის საფრხულებზე იდგნენ პასაჟირები. მაისის 1-ს მოვიდა დილის პოეზდი უფრო სავსე პასაჟირებით. ნავეებით და ცხენებით რაც მოვიდნენ ის სხვა იყო, გაივსო სასტუმროები და სამიკიტნოები იმერლებით და ბურთის მოთაშაშე მეგრელებით. იყენენ თავდაზნაურების პარტია თანმოყვანილი კაცებით, იყო დიდი აყალ-მაყალი ბურთის გატანაზედ:

ბათენდა დილა პირველ მაისისა და დაიწყო წვიმა. წაუხდა აული მოსულს ხალხს, გადაუწყდათ ღარის იმედი. ბამართულები იყო მოგინსკის პარკში სადილები სხვა-და-სხვა პირებისა ცალცალკე.

სათის პირველამდის იყინქლა, შემდეგ უცებ გაქრნენ ღრუბლები, გამოსცა მზემ თავის სხივები, გაახრა ყოველი ხალხი, შეიქნა მოძრაობა და ჭაეტონების რახი-რუხი, გაივსო უცებ ხალხით პარკი, გაიშალა სტოლები, გაჩნდა სადღეგრძელოები და ურა, მოისმა მშთაი-სიდან მოწვეული სამას მანეთიანი მუზიკის ხმა, გაჩნდა ხმაურობა, დაიწყეს ბურთის ატარ-ჩატარება გზებზედ დიდის „ვარადათი“ და „ურათი“.

საუბედუროთ, მეგრელებს მოპირდაპირეები არ ჰყვანდათ, რომ ბურთის რიგინი თამაში ყოფილიყო. ბურთულები სულ ცოტანი იყვნენ; ხონელებიც იყვნენ სულ ათ კაცამდის. მაგრამ მაინც გავარდა ბურთი, გაჩნდა დიდი ძაგა-ძუგი; გურთულებმა და ხონელებმა იცოდნენ, რომ სიცოტავით ბურთს ვერ წაიღებდნენ და ამ ძაგა-ძუგში ხონელებმა გასჭრეს ბურთი და აღარც ერთს არ ერგოთ; მაგრამ მეგრელებმა მაინც მოილხინეს, მოგლიჯეს ძირიანად ხე და ზედ თავიანთი სარდალი დასვეს და ისე ატარეს. ბოლოს ხე ბურთის მაგიერათ გადაადგეს დიდის სიხარულით და ურათი. მეგრეებ შარსის აღებაზედაც არ იყო ამოდენა ურა, რაც ამ რთხმელის ხეზედ ურა იყვირეს.

მსე ამ ნაირათ გაიარა პირველმა მაისმა.

ამ შექცევის დროს პარკში დიდი ჯიბგრობა იყო; ერთს ამოაცალეს 800 მანეთი, მეორეს ქამარი, რამდენიმე კაცს კიდევ ფული, ასე რომ სამი ათას მანეთამდინ იმსხვერპლეს ჯიბგრობმა.

შათელი

წერილი რედაქტორთან.

შუალო რედაქტორო (დასასრული\*)

შუ. ბ. წერეთელი ბანკის ისტორიაში ერთობ თამამად გვიამბობს ნელ-ნელა შეპარულ შეწამებებს და ხელოვანის ინსინუაციით აბეზღებს საზოგადოებას უ. ნიკოლაძეს, გმობს მისს საქციელს პოლემიკასა და საზოგადო. ლაპარაკში, ამცრობს ქართული მწერლობის მოღვაწეობაში და ამტყუნებს გაურკვევლობაში, უგერგოლობაში, — ერთის სიტყვით საზოგადოებას ეუბნება: „შეხედეთ რა პირ-უთნო მსჯელობა მაქვს, რა სანდო მწერალი ვარ, რომ ასე არ ვზოგავ ჩემს ამხანაგს და ნათესავს სიმართლის გულსათვის“ და გაქვბთ, გონიერად მოექცეთ იმას, ზურგი რომ შეაქციეთო.

მეორე მხრით განსვენებული ბესარიონის ქებაში თავის-თავს გადასჭარბებია უ. წერეთელი და ჯერ ისევ რეტისაგან გამოუფხიზლებელი ამბობს ბ. ლოლაბერიძეს ისე გონიერი იყო, ისე ნასწავლი იყო, ისე პატიოსანი და გულ-წრფელი იყო, რომ ცხოვრების არა გაეგებოდა-რა, ცხვირით სათრევი სულელი, ადვილ გასაბარი ყვებელი, ხელ მოსატრიალე ბელი ჩერჩეტი იყო ვო!

საზოგადოება უ. ნიკოლაძეს ემდურის—მეც ცუდად ვახსენებო“ განუზრახავს დამწერს; „ბესარიონს საზოგადოება უკან მისტირის—მეც შესხმას ვუწერო და ამით რასაკვირველია საზოგადოებას ნდობაში შევეუძრებ და დეაჯერებ, რასაც დეუწერ და ვეტყვი ჩემს მტრებსა და მეგობრებსეო; დამიჯერებენ, რომ ბესარიონის ბიძაშვილები უღირსი კაცები არიანო, ბესარიონის თვალის ამხვევი და სახიფათო მთრეველიო, ამაზე თვითონ ბესარიონის მოწმობასაც მოვიყვან და ამისთანა ავტორიტეტით მაინც დეაჯერებ საზოგადოებას, რომ მისი ბიძაშვილების საქციელი განსვენებულს არ მოსწონდა...“ (მაგრამ მაინც უჯერებდაო! ეს ქვას ქვეშ იყოს).“

ეს კი განგებ დავიწყებია უ. წერეთელს განსვენებულის სტატიის ნაწყვეტში, რომ იმავე სტატიაში კარგად მახსოვს და უთუოდ ბევრ სხვასაც მოაგონდება, სწერია: „უ. ნიკო ლოლაბერიძე პატიოსანი და ქვეყნის ერთგულ კაცად მიმაჩნიაო;“ რომელიც ბესარიონისაგან არავის გაუგონია, თუ ვისმეს მოუგონია თვარა. მერც ეს გამოდგა მართალი.

წერილმანი პირადი ანგარიშები, თავის კერძობა, მტრობა, რომლებშიდაც უ. ნიკოლაძეს ძალიან მალლიდამ ჩამოხედვით ამტყუნებს უ. წერეთელი, თვითონაც ამოდენ სიფრთხილედ და დიპლომატიურ სივერაგეში ნამეტნავის იმედისაგან აფრენილს კარგა დასანახვად გამოუჩინა.

შინარი ავტორის შედარებაც ტალ-

ღვირანისა და ტიერისა ვერაფერ მეშველ—საბუთად უხდება უ. ბ. წერეთლის დახაზულ პლანებს, ამიტომ რომ „სიკოქლე და ციდა ნახევარი სიმაღლე“ რალც გამოსაცნობ ნიშნებად ეჩვენათ ზოგიერთებს და „ბისმარკის ახოვნება და ბრევის წამოსადგობაც სრულიად, თურმე, ჭკუას და საქმიანობას არას უშავებსო“, უნებლიეთ აფიქრებინათ. მერც უსახლო დამწერის „სიზმრები და ოცნებები“ გამოადგა უ. ბ. წერეთელს.

ჯერ ეს ვსთქვათ, რომ მე რაც არ ენახე, არაფერი მომჩვენებია და ჯულაბი, ან და უფრო სწორა, საწაძლავი შარბათზე გაწუწუებული ვერთაგვები რომ არიან, იმათ მოუხდება და გესლიანი ღრიანკლები. მოგონებით და გულში ამოდებით ლაზანდარობას ერთობ ნდობა უ. ბ. წერეთლის ქომაგი დამწერი, რომ ჩვენი საზოგადოების წევრთა წაქიდება და ერთობის კაეშირის გაწყვეტა ურწმუნებია. ამისთანა განათლებული და მამულის მოყვარებითი მისია როგორც განხეთქილების და შურის ჩამოთესვა არის, მერე ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც თავისი სახელი და საერო დიდება შურმა და ხლომამ ჩაუთქა და ამათგან დაწყლულებული იარების ტკივილით დღესაც კვენის, დიდად სასახელო არის და საზოგადოების დასანახვი?

უ. ბ. წერეთელი და მისი მებანე და მოზახილი ავტორები და წამბილწველი თვისებები „სწავლისა და მეცნიერების სახელით, საზოგადოების წინ უნდა ეაკურთხობთო, რომ მელასავით სხვების წაქიდებით, ბრძოლით და დაცემით ვისარგებლობთო და თუ არავინ ემტერებოდეს ერთმანეთს, ჩვენ ავუტეხობთ შფოთიო და ეს მაკიაველობა, ტალღვირანობა და ბისმარკობა გონიერების გვირგვინსაც დაგვადვამს და გავკამარჯვებინებსო“—სწორედ კი არის ეს გამარჯვება: ...თავის სინილისთან ბრძოლაში! სწორედ უბადრუკი სენილისი ამ დოქტრინებში თავს ზევით ვერ აიღებსუ ამისთანა იეზუიტურს გამარჯვებას რამდენად სჯობს დამარცხება, ამის აწონას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა.

ახლა ყური ამაზე დამიგდეთ, თუ ჩემი აღსარება რა იყო. ის ლოთრანგის აღსარება უ. წერეთლის ქომაგი რომ მოგახსენებსო, გულშიდაც არ გამივლია. მე ამას ვარჩევდი და აღსარებაც ეს იქნება: ჩვენი საზოგადოება ბევრი რამ სასახელო თვისებების და ღვთის-მალლით სწორი ცნობის, პატრონი ყოფილა მეთქი. იქა-აქა თუ წვირლ-ფეხობა, კინტრიშა კვიცები და ურა-ცხენები თვარა, თვით საზოგადოების გული და სიზრქე ახირებულ-ჩახირებულ პუტუნს წარა-მარა ლაპარაკს, მიეთ მოეთი და წასულ-მოსული ჭკუის კაცებს როდი უჯერის, როდი ყვება მეთქი. დამჯდარი გულ-დასმითი, ერთგული და სენილისიანი სწავლა და ამ სწავლასთან თავისის ხასითის და გრძნობების შეზრდა ბევრად უფრო ნაყოფიერი და მაგარზე დამყარებული ყოფილა, ვინემ მეცნიერების

კალიდოსკობის ყურებით და ცმუკვა-ყუნცულით გადასწავნა ნამეცნიერო საბურთო მაედნებს და მუქუნელებელი, შეურგებელი ჩამწილვა თავში ათასი თეორიებისა; საზოგადოებასაც, თურმე, ამისი მიხვდობა და ცნობა ქონია, როგორც განსვენებული ბესარიონ ლოლაბერიძის სიკვდილმა დაამტკიცა საზოგადოდ და სიკოცხლე ამდკიცებდა თავისის ნაყოფებით. საზოგადოებაში თავისის ცხოვრებით და საქმობით მოგებული ნდობა უფრო ნამდვილი და სამართლიანი დიპლომატი ყოფილა, უფრო უკვდავი საბუთი კაცის გონების და ზნეობის დასათასებლად, ვინემ სხაპა სხუპით და ჩანისბით წარმოთქმული საეგზემენიო განარკვის და დისსერტაციისთვის ბოძებული მეცნიერების ოქმი“ მეთქი. ამისთანა მრავალი წლის მოგებულ ნდობას, შეძახება და ციცხინი, თუნდა ძალიან დიპლომატიური, ვერაგი და იეზუიტურ-იყოს, ნამეტურთუ რომ წალმა-უტულმა მიმდებ-მამდები კაცისაგან მოისმის ეს ციცხინი და კიქ-ნი—ვერ წაქციეს მეთქი.—პატიოსნება და უანგარობა დიდად კარგად გადის საზოგადოებაში, თუნდა ილის წამებამ ბევრი შეწამება მოუგონოს მეთქი და თავის სიტყვის უარ-ყოფა, პირის-ტეხა, ფულის აღება და მიცემის დეიწყება, მოვალესთან გადაკრული მუსაიფი,—ესენი ძალიან უშლიან და უმარჯულოდ ხდიან კაცს, რომ სხვისს ანგარებაზე და უპატიოსნობაზე დადადება დაიწყოს მეთქი და საზოგადოებასაც, მიხარია, ასე რომ მაჩნია მეთქი,—და რამდენი ამისთანა „მეთქები“ შემომმეხარჯა ვინ იცის.

ამ დროს, შეხედეთ, რა მოხდა! „ღროების“ ის ნომრები, რომელშიდაც უ. ბ. წერეთელი განსვენებული ბესარიონის სიტყვით ამტკიცებდა, რომ „შრომა ყოელისფერს დასძლევსო“ და ამ ნაირად უნებლიეთ ბანს ეუბნებოდა ჩემს აღსარებას „გულდასმული და ერთგული სწავლისას“, ამის წამოცდენა კარგ-დროს ვერ მოუვიდა უ. ბ. წერეთელს; მაგრამ მე ჩემს აღსარებას ეს არის საქვეყნოდ ვაშობ და ისევ „ჩემებური ცხოვრების“ მიმყოლი ჩემი აღსარების წესზე მდგომი ვრჩები

ოქტენი გაზეთის დანიშნულების გამართლების მნდომი

ბ. ლდინი

მუთახისი, 23 აპრილს.

P. S. დიდად მიმიძის, რომ ამდენი მღუმარების შემდეგ ასე უამო და გრძელი წიგნით გამოვიდვარ რედაქციაში და გრჯით, უ. რედაქტორო; მაგრამ იმედი მაქვს ასწონით გარემოებას და გამამართლებთ ამის დაბეჭდვის სურვილში, რაც შეიძლება დაჩქარებით უმახლობელესს ნუმრებში, რასაკვირველია, გამოუკლებელად და შეუცვლელად.

ბ. ლ.

\*) „ღრობა“ № 90. და 92

# ტელეგრაფები

(საკუთარის პორტრეტსონდენტისაგან)

**ჭუთაისი, 2 მაის.** მეორე დირექტორად ბანკისა დარჩა ისევ თ. ღვით შრისთავი. დირექტორის კანდიდატად ამოარჩიეს თ. ანემბოლისტო მჩაბელი.

**ჭუთაისი, 3 მაის.** ზედამხედველის პომიტეტადამ გამოვიდნენ: ასათიანი, ნაკაშიძე და შალვა (რომელიც დირექტორად აირჩიეს). ამათ მაგივრად კრებამ აირჩია შემდეგი პირები: ალექსანდრე შიფინაშვილი, ნიკოლოზ შიფიანი და ღვით ლორთქიფანიძე.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**ლონდონი, 1 მაის.** რიო-ჟანეიროდამ მოვიდა ამბავი, რომ 400 რუსი, რომელიც აქ იყო დასახლებული, უკან დაბრუნდნენ; 700 კაციც მალე აპირებენ უკანვე, რუსეთში, დაბრუნებასა.

**კატერბურლი, 2 მაის.** დიდი კენიხა მარიამ პავლეს ასული მშვიდობით განთავისუფლდა დღეს მშობიარობისაგან; დაეზადა ვაჟი, რომელსაც სახელად დაარქვეს ანდრია.

**ირბიტი, 1 მაის.** ღღეს სალამოს მეორედ გაჩნდა აქ ცეცხლი, რომელმანც გადაჰსწვა ოთხი რომელიც უფრო ღარიბი უბანი იყო ქალაქისა.

**ოკანბურლი, 2 მაის.** ღღეს კიდევ გაჩნდა აქ ცეცხლი, რომლისგანაც გადაიწვა ძველი სლაბოაკის მომეტებული ნაწილი.

**პერმი, 2 მაის.** შრალის რკინის გზის ბისერის სტანციაზე გაჩნდა ცეცხლი; სტანცია და 5 ორთქლის მაშინა დაიწვა.

# განცხადებანი

თფილისში, უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში ისპიდება  
თ. ალექსანდრე ჯამბაქურიან-ოკანბურიანის

## ნაწერი

და  
ოტხი ლეჰსი თ. ვახტანგ ოკანბურიანისა

შასი წიგნისა ათი შაური.  
(5—1)

ახლად გავმართე სტალარის (ხუროს) მარხანდ ბურიაში, სოფ. ხადისთავში. მაკეთებ იაფ ფასად ყოველ გვარ სახლის მოწყობალობას.

მსურველს შეუძლიან მიმართოს მღვ. შილიძე ძალანდაძის სახლში.  
(3—1)

ჭუთაისში

# კ. მესხის წიგნის გალაზიასი

ისყიდება უმეფავი წიგნები:

- 1) სიტყვანი და მოკლვრავანი — თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის მიერ. შასი 1 მან. და 50 კ.
- 2) იგივე, უკეთესს ქალაქდზე დაბეჭდილი. შასი 2 მან.
- 3) რუსული ენის დასაწყისი კურსი მართვალთათვის (Практический начальный курс рус. языка для дружин) — შედგენილი ბ. კ. — შვილის მიერ. შასი — 60 კაპ. მინც 20 წიგნზე მომეტებული იყიდის, ვგზემპლიარი ღვეთმობა 50 კაპეიკად.
- 4) დედა ენა — ი. ბოგებაშვილისაგან, 30 კ.

- 5) სიბრძნე სიტყვის წიგნი. შასი — — — — — 70 კაპ.
- 6) გუნების კარნი — — — — — 70 კაპ.
- 7) პატარა გიგლიოთიკა — იმისივე — — — — — 10 —
- 8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — — — 20 —
- 9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. შრისთავისა — — — — — 15 —
- 10) თამარ ბატონიშვილთ — ღრამა 5 მოკმ. — — — — — 30 —
- 11) არანკა, პოემა ბ. წერეთლისა — — — — — 20 —
- 12) სამეზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —
- 13) ყარამანიანი — პირველი ექვსი წიგნი — — — — — 30 კ. და 40 კაპ.
- 14) რძალი მული და მაშენიკები — კომ. თუთაევისა — — — — — 30 —
- 15) მართული კალენდრები 15 —
- 16) სახარება — — — — — 25 —
- 17) „გუთიანობა“ ვოდვეილი აკაკისა — — — — — 20 —
- 18) „ვაი ჰკუისაგან“ კომედიო გრიბოდვისა, ნათარგმნი ბ. წინამძღვაროვისაგან — — — — — 40 —
- 19) სოლომონ ისაიჩი მუჯღაწუაშვილი — — — — — 30 —
- 20) მგოსანი — ლეჰსები — 20 —
- 21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშებდ, მელანი, ქალაქი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.  
სასოფლო შოკლელს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.  
მალაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, ძალუბის ქვეშ.

რ. ბ. შ. ა.	დ. ა.	ს. ა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	3 კაპ.	5 კაპ.	მ. ციხეცა თფილისიდან:		თფილისი, 4 მაის.		ქრეფ. ს. მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქაქაბიძის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	შვე. თფ. ბანჯისა, ფთ.	2	ავეთმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მდებს, მოსკოვს	2	შვეილი წითელი	170	მ. რ. შაბათს: მერმიშვილი და ბალონი — შინაგ. ავთ., შიუჩა-რონიც — ქალის ექიმ და საშვილო-სნოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	პეტერბურს, ვარშავას.	2	ბამბა მრეცისა, ფთი.	720	სამშაბათს: მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეილო და ბავშვის. პუნოვი — თვლის.
სურამი	1 44	4 90	2 61		მსმალთში, შვეიცრაში.	3	ამერიკისა, ფთი.	840	მ. თხ. შაბათი: მერმიშვილი შინაგანი ავეთმყოფობის.
ჭყვიბილა	5 49	7 21	3 69		იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტალი ბამბა ფთი.	960	სუთ შაბათს: მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეილო და ბავშვის. პუნოვი — თვლის.
რიონი	6 57	8 44	4 31		ინგლისში	3 75	მატყლი თუშური ფთი.	6	პარასკევს: მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეილო, ქალისა და ბავშვის.
სამტრედია	7 51	9 66	4 93				— თარაქამისა ფთი.	330	პეტრევი — თვლის.
ახალ-სენაკი	8 43	10 71	5 47				აბრეშუმი ნუხური სტ.	210	მ. თხ. შაბათი: მერმიშვილი შინაგანი ავეთმყოფობის.
შოთი	9 50	12 24	6 26				— მონი, ფთი	580	სუთ შაბათს: მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეილო, ქალისა და ბავშვის.
შოთი	9 3						— მონის სანთელი ფთი.	7	პეტრევი — თვლის.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78			სტეარინის სანთელი, ფთ.	12 50	სუთ შაბათს: მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეილო, ქალისა და ბავშვის.
სამტრედია	11 5		2 61	1 33			ხორცი ძროხისა, ლიტ.	90	პარასკევს: მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეილო, ქალისა და ბავშვის.
რიონი	12 13		3 84	1 97			— ცხვრისა, ლიტრა	1 8	პეტრევი — თვლის.
ჭყვიბილა	1 18	ლაშ.	5 3	2 56			სპირტი ვედრო	4 50	პარასკევს: მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეილო, ქალისა და ბავშვის.
სურამი	5 12	110 7	34	3 74			შაქარი, ბროტ. ფთი.	7 30	პეტრევი — თვლის.
ხაშური	5 39	137 7	51	3 84			— ღვინილი ფთი	5 60	პეტრევი — თვლის.
ზორი	7 5	4 89	24	4 73			შავი გრგვლი, გირვ.	— 60	პეტრევი — თვლის.
მცხეთა	8 50	6 59	11 39	5 82			ზეთი ქუნჯულისა ფთი	11 80	პეტრევი — თვლის.
თფილის	9 31	7 56	12 24	6 26			თამბაქო, ხაშულო ფთ.	7 20	პეტრევი — თვლის.